

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

### საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტი ითვალისწინებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელი ტერიტორიული ორგანოების მიერ განსახორციელებელი ფუნქციების უკეთ შესასრულებლად საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შექმნას.

აღნიშნული იურიდიული პირი იქმნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში და მასზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

კანონპროექტის შიღება არ მოითხოვს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს. პროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ხოლო ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ნინო კალანდაძე.